საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ასირიოლოგია / Assyriology

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი / Bachelor of Arts in Assyriology

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ირინე ტატიშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:

ასირიოლოგია ანუ უძველესი აღმოსავლური ცივილიზაციების შესწავლა, წარმოადგენს რიგი დისციპლინების სინთეზს. იგი მოიცავს ძირითადი დარგების - აქადოლოგიისა და შუმეროლოგიის - გვერდით მონათესავე მიმართულებებს – ხეთოლოგიას, ხურიტოლოგიას, ურარტოლოგიას, ბიბლიური ხალხების კულტურას და იგი კომპლექსურ დარგად წარმოგვიდგება, რაც გულისხმობს ზემოაღნიშნული ცივილიზაციების ენების, დამწერლობების, ლიტერატურის, რელიგიისა და სხვა ასპექტების შესწავლას. მეცნიერების თეორიის დასავლური გაგებით, ასირიოლოგი არის ტექსტოლოგიური, ლინგვისტური, ფილოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი კომპეტენციის მქონე სპეციალისტი. შესაბამისად, ასირიოლოგიის დასაუფლებლად აუცილებელია მთელი რიგი ინტერდისციპლინარული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, სხვადასხვა ხასიათის ლექციური თუ ინტერაქტიული ტიპის სემინარებთან ერთად სტუდენტმა უნდა გამოიმუშავოს დამოუკიდებელი კვლევის უნარი, შეზავებული ორიგინალურ ხედვასთან და წარმოსახვის უნართან, რათა შეძლოს ისტორიული რეალობის აღდგენა და ეპოქის რეკონსტრუქცია. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანია წერის, ლოგიკური მსჯელობისა და სამეცნიერო თუ ორიგინალური ტექსტების კითხვისა და ანალიზის უნარ-ჩვევის გამომუშავებაც.

საქართველოში ასირიოლოგიის სახელოვან ტრადიციებს განაპირობებს უპირველესად ის ფაქტი, რომ ქართულ კულტურაში დალექილია უძველესი აღმოსავლური ცივილიზაციების ფილოლოგიური, ლინგვისტური და ისტორიულ-კულტუროლოგიური ელემენტები, რომელთა შესწავლა გარკვეულწილად გასაღებია უძველესი მსოფლიო ცივილიზაციების შესწავლისა.

XXI საუკუნეში განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ცივილიზაციათა პერიფერიების მიმართ, რასაც მოწმობს იუნესკოს ეგიდით ჩატარებული და განხორციელებული პროექტები. დასავლური მეცნიერების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოში აღმოჩენილი ძველაღმოსავლური ცივილიზაციების ისტორიულ-არქეოლოგიური, ეპიგრაფიკული თუ ლინგვისტური – ძეგლები, რაც, თავისთავად, პერსპექტიულია ქვეყანაში სამეცნიერო ტურიზმის განვითარებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია, სწავლების წარმართვა ორი ძირითადი მიმართულებით: გარკვეული კურსები დაეთმობა დარგის კვლევის თეორიულ საფუძვლებს და მეთოდებს (კონტექსტუალური კვლევა, ეთნოკულტურული კვლევა, ჰერმენევტიკა, კვლევის ტოპოგრაფიული მეთოდი, პროსოპოგრაფია, პოსტპროცესუალური არქეოლოგია და სხვ.) და მეორე, ცალკეული კურსები დაეთმობა წმინდა ემპირიული მასალის შესწავლა-დამუშავებას (კონკრეტული ფილოლოგიურ-ისტორიულ-კულტურული მოდელები, საზოგადოების განვითარების კონკრეტული ეტაპები, ენის ევოლუციის ეტაპები, ინტერკულტურული მიმართულებები და კავშირები).

ბაკალავრიატში წარმოდგენილი კურსების მიზანია ცოდნის მიღება კვლევითი ელემენტის მაღალი მაჩვენებლით, რაც გულისხმობს ძველაღმოსავლური ენების და, უწინარეს ყოვლისა, შუმერული, აქადური (ასურულ-ბაბილონური) და ხეთური ენების საფუძვლიან შესწავლას,

ტექსტების ფილოლოგიურ–ლინგვისტურ ანალიზს, წყაროებზე მუშაობას, გლიპტიკის, პალეოგრაფიული და ეპიგრაფიული მასალის შეწავლას, წყაროთმცოდნეობის ბაზის გაფართოებას.

სწავლის შედეგები:
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:
დარგობრივი ცოდნა:

- ბაზისური ცოდნა ძველაღმოსავლური საზოგადოებების სხვადასხვა ასპექტებისა და მიმართულებების თვალსაზრისით;
- ინტერდისციპლინარულ კონტექსტში თავიანთი ცოდნისა და სამეცნიერო უნარ–ჩვევების დახმარებით საკუთარი მოსაზრება–კონცეფციის ჩამოყალიბება (არტეფაქტების იდენტიფიკაცია, წარწერების წაკითხვა, კულტურულ–რელიგიური კონტექსსტის ანალიზი–დადგენა, კულტურული სინთეზები და სხვ.);
- დღევანდელ ისტორიულ მდგომარეობადა და წარსულს შორის კავშირის კრიტიკული აღქმა;
- ბაზისური ცოდნა ძველი საზოგადოებების ფართო, დიაქრონულ ჩარჩოებში.
- სხვა ექსპერტებთან პროფესიონალური თანამშრომლობის უნარ–ჩვევები;
- სწავლის გაგრძელება მაგისტრატურის საფეხურზე;
- პროფესიული თვითსრულყოფა;
- სპეციალობის შეცვლა და სწავლის გაგრძელება მონათესავე დარგების ფარგლებში.

ზოგადტრანსფერული უნარები:
კოგნიტიური უნარები:
ბაკალავრს ესმის დარგი კონცეპტუალურ დონეზე, შეუძლია ლოგიკური აზროვნება, კრიტიკული კვლევა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფურად.
მეთოდოლოგიური უნარები:
ისტორიული ტექსტებისა და ორიგინალური დოკუმენტების კითხვის უნარი უცხო ენაზე, რათა სტუდენტმა სათანადოდ შეაჯამოს, ციტირება მოახდინოს და კატალოგის გაკეთება შეძლოს
ტექნოლოგიური უნარები:
ბაკალავრი იზიარებს ყველა იმ პროფესიული ეთიკის საერთაშორისო ნორმებს, რაც დაცულია მსოფლიო საავტორო უფლევის დაცვის ე.წ. "კოპირაითის", დამოწმების და ციტირების სტანდარტებით (MLA)
ლინგვისტური უნარები:

- მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია ისტორიოგრაფიისათვის სახასიათო ტექნიკისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით;
- საკუთარ ენაზე წერის უნარი და სხვადასხვა ტიპის ისტორიოგრაფიული წერის გამოყენების უნარი.

სოციალური უნარები:
საკუთარი პროფესიული დაკვნების საჯარო დეკლამაციის უნარი.
სისტემური უნარები:
სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელება, პროფესიული თვითსრულყოფა.

დასაქმების სფეროები:
უნივერსიტეტის კურსდამთარვებულს, რომელსაც აქვს ასირიოლოგიის ბაკალავრის ხარისხი, უფლება ეძლევა:

- დასაქმდეს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო);

- იმუშაოს სასწავლო დაწესებუბლებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობაში, ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ სასწავლებლებში;
- იყოს ექსპერტი ორიენტალური სიძველეების განხრით.

სწავლის გაგრძელების საშუალება:
უნივერსიტეტის კურსდამთარვებულს, რომელსაც აქვს ასირიოლოგიის ბაკალავრის ხარისხი, უფლება ეძლევა სწავლა განაგრძოს მაგისრატურაში.

ძირითადი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: III სემესტრი

პროგრამის მოცულობა:
რვა სემესტრი – 240 კრედიტი: 1) ძირითადი პროგრამა - 120 კრედიტი; 2) დამატებითი პროგრამა – 60 კრედიტი; 3)საფაკულტეტო საგნები – 50 კრედიტი;

შეფასების ზოგადი წესი:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:
საბაკალავრო პროგრამის სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი კომპონენტები განხორციელდება ორ ძირითად ბაზაზე:

- თსუ ასირიოლოგიის დეპარტამენტში, სადაც მოწყობილია ბიბილოთეკა. აღნიშნული კაბინეტი აღჭურვილია მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურით, სლაიდებით, რუკებით, ინტერნეტით;
- ამერიკულ-ქართული ბიბლიური კვლევის და არქეოლოგიის ცენტრი (AGIBAS) თავისი ტექნიკური აღჭურვილობით (კომპიუტერი, პრინტერი, ინტერნეტული ქსელი) და „ასირიოლოგთა, ბიბლეისტთა და კავკასიოლოგთა საზოგადოების“ (იხ. ვებ-გვერდი www.sabc.ge) ბიბილოთეკით. საზოგადოებას მოეპოვება დარგში საინტერესო ბიბილოთეკა და სტუდენტებისათვის განკუთვნილი ტეკნიკური ბაზა, რომელიც აკმაყოფილებს ბაკალავრის მომზადების დარგში;
- დარგის სპეციალისტების პირადი ბიბლიოთეკები, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

დამატებითი (minor) პროგრამა

საბაკალავრო პროგრამის დასახელება: ასირიოლოგია

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის კოორდინატორი: პროფესორი ირინე ტატიშვილი

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია, დამატებითი კომპეტენციები მიანიჭოს ბაკალავრს აღმოსავლეთმცოდნეობის, კერძოდ, ასირიოლოგიის დარგში, მისცეს მას ბაზისური ცოდნა ძველაღმოსავლური საზოგადოებების სხვადასხვა ასპექტებისა და მიმართულებების თვალსაზრისით; შეასწავლოს ძველი ენები და გამოუმუშავოს ტექსტოლოგიური, ლინგვისტური, ფილოლოგიური, წყაროთმცოდნეობითი კომპეტენციები.

სწავლის შედეგები:
საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა და გამოიმუშავოს შესაბამისი უნარები მიმართულებით:
დარგობრივი ცოდნა:

- ბაზისური ცოდნა ძველაღმოსავლური საზოგადოებების სხვადასხვა ასპექტებისა და მიმართულებების თვალსაზრისით; არტეფაქტების იდენტიფიკაცია, წარწერების წაკითხვა, კულტურულ–რელიგიური კონტექსსტის ანალიზი–დადგენა, კულტურული სინთეზები და სხვ.;
- ბაზისური ცოდნა ძველი საზოგადოებების ფართო, დიაქრონულ ჩარჩოებში.

ზოგადტრანსფერული უნარები:
კოგნიტიური უნარები:
ლოგიკური აზროვნება, კრიტიკული კვლევა, როგორც დამოუკიდებლად, ასევე ჯგუფურად.
მეთოდოლოგიური უნარები;
ისტორიული ტექსტების კითხვის, შეჯერების, ციტირების უნარი;
სოციალური უნარები:
საკუთარი დაკვნების საჯარო დეკლამაციის უნარი.
სისტემური უნარები:
სწავლის დამოუკიდებლად გაგრძელება, პროფესიული თვითსრულყოფა.

დასაქმების სფეროები:
ბაკალავრს ასირიოლოგიის დამატებითი სპეციალობა შრომით ბაზარზე უფრო კონკურენტუნარიანს ხდის და დასაქმების სფეროს უფართოვებს ჰუმანიტარული მეცნიერებების, კულტურისა და განათლების სხვადასხვა სფეროში (საინფორმაციო–ბიბლიოგრაფიული, სარედაქტორო); სასწავლო დაწესებულებებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, არქეოლგიურ გათხრებზე, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, ტურისტულ ორგანიზაციებში, ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში, გამომცემლობაში ყველა იმ თანამდებობაზე სამუშაოდ, რომელიც გათვალისწინებულ იქნება ბაკალავრის ხარისხის მქონე სპეციალისტთათვის.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:
სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით; მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა; შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით. შეფასების

კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. გთავაზობთ ზოგად ჩარჩოს:

91 -100	ფრიადი, A
81-90	ძალიან კარგი, B
71-80	კარგი, C
61-70	დამაკმაყოფილებელი, D
51-60	საკმარისი, E
41-50	ვერ ჩააბარა, FX
0-40	ჩაიჭრა, F

დამატებით სპეციალობაზე მიღების წინაპირობა: წინაპირობა არა აქვს.

პროგრამის მოცულობა: დამატებითი სპეციალობის მოცულობა – 60 კრედიტი.

დამატებითი სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა: სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა დამატებითი პროფესია აირჩიოს სწავლების მესამე ან მეოთხე სემესტრში.